


ჩვენი: Aug. 13 1974



თავისუფლება



825
1974

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო.

სარედაქციო კოლაშია: ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ გრიგოლია, გიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 4

პარზიზ

ივლისი 1974

გ. წერეთელი.

დამოუკიდებლობა

თავისუფლების ტრიბუნა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორგანოა.

დამოუკიდებლობა რისთვის? რატომ? არის იგი ზოგიერთი მეოცნების ფანტაზიის ნაყოფი, რაღაც განყენებული ფეტიში, რომელზედაც ზოგიერთი ჭკუა ნაღძობი ლოცულობს, თუ საჭირო და აუცილებელი პირობა ქართველი ერის პარმონიული განვითარების, მისი, როგორც ერის, უკვადების საწინდარი და გარანტია? აი საკითხი, რომელზედაც ქართველებმა უნდა სწერონ, აფიქრონ, თავიანთ შეძლების ფარგლებში უნდა პრაქტიკულად იღვაწიონ მუდამ, განუწყვეტლივ, ყველგან, ოდნავაც ქართველი ერის ფიზიკური არსებობა (სხვა ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ), დამოკიდებულია ამ საჭირობორტო საკითხის გადაწყვეტაზე.

საკითხის სწორად დასმა უკვე ნიშნავს მის ნახევრად გადაწყვეტას, ხოლო საკითხის საყოველთაოდ გაზიარება. ერის მიერ ქემშარტიებად ცნობა, უკვე, გამარჯვების უქვეყლი პირობაა.

თუ ქართველი ერი ღღემდე გადაჩნა, თავისი ვანსაკუთრებული თვისებები შეინარჩუნა, ამას ჩვენ მარტო მის გამძლეობას კი არ უნდა ვუმადლოდეთ, არამედ იმასაც, რომ ჩვენი ისტორიული მტრები გაცილებით ნაკლებათ მზაკურები იყენენ ჯიღრე ღღეგანდელი. ისინი დამარცხებულ ქართველებისაგან მხოლოდ ხარკს და ომში თანადგომის მოითხოვდენ, და საქართველოს შინაური

ცხოვრება, მისი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა, რჩებოდა ქართული. ხალხი ვანიცდიდა ვაჭირვებას, კირთებას, მგრამ მას ნაკლებად ემუქრებოდა ფიზიკური გადაშენების ან ეროვნულ გადაგვარების საფრთხე.

შაბაბასმა მოინდომა კახეთის აყრა, კიდევაც შესართულა ნაწილობრივად. — ათასობით კახელი ოჯახები წუხა სპარსეთში გადაასახლა, მის ადგილას კი ელია ტომები დაბინდარა. საბედნიეროდ, მკაცრი დამპყრობელის სიკვდილთან ერთად სპარსეთის ძლიერებაც დაეშობა და საქართველოც სრულ განადგურებას გადაურჩა.

თურქებმაც დიდი ზიანი მოგვაყენა: საუკუნოების განმავლობაში მან შესძლო რჯული გამოეცვალა და თავის ეროვნულ ფერხულში ჩაება, ჩვენი ერის ერთი შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ნაწილი. სამცხე-საათაბაგეოს მმართველთა უფუნური პოლიტიკის წყალობით, რომელიც საქართველოს ღღეგანდელ ვი მმართველების საქმიანობას ასე წაავაგეს, დედა-სამშობლოს საუკუნოების განმავლობაში მოსწყეცა მისი ეროვნული სხეულის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი და ერთმა ღქართმა მხოლოდ უწყის, თუ საქართველო ოდესმე შესძლებს მის კვლავ დაბრუნებას.

საქართველოს ღღეგანდელი მპყრობელი გაცილებით უფრო ვერავია, გაცილებით უფრო მზაკვარია, გაცილებით უფრო ცბიერია. ოფიციალურად სრულუფლებიან

მოკავშირე რესპუბლიკას, არავითარი საშუალება, სინამდვილეში არ გააჩნია თავისი ეროვნული აწმყის და მომავლის უზრუნველსაყოფად. თვით უბრალო ისტორიის სახელმძღვანელოც კი არ შეიძლება დაიხსენიოს საქართველოში მოსკოვის მბრძანებელთა ნება-სურვილის წინააღმდეგ, იქ არაფერი არ კეთდება, არც შეიძლება კეთდებოდეს, დღევანდელ პირობებში, ქართველი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოს სახალხო მეურნეობა იგეგმება და ხორციელდება მოსკოვის მიერ, რუსეთის სახელმწიფო ინტერესების მიხედვით. საქართველოს მიწისქვეშა და მიწის ზედაპირის სიმდიდრე, ქართველი ხალხის შრომით შექმნილი, მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოს განკარგულებაშია, ვერავითარ კონტროლს მის მოხმარებაზე ქართველი ხალხი ვერ ეწევა.

ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლება, პროფესიონალური ფორმაცია, მიმდინარეობს ასევე საკავშირო—რუსულ ინტერესებით, ქართულ ახალგაზრდა კადრებს: ინჟინრებს, ექიმებს, მათემატიკოსებს, ვიზიონებს და სხვთა, დიდი რაოდენობით გზავნიან შორეულ აღმოსავლეთში თუ სხვაგან საქართველოს ვარჯი. რუსულის მკოდნე კადრების უკეთ მომზადებისათვის საქართველოს ყველა უმაღლეს და პროფესიონალურ საშუალო სკოლებში ქართულ სექციებთან ერთად არსებობენ რუსული სექციები. კრემლის ხელისუფლება ამითაც არ კმაყოფილდება, ყოველწლიურად საქართველოში ასახლებს ათასობით არა ქართველ მოსახლეს. საყოველთაოდ ცნობილია თხუთმეტი პროცენტი, ეს არის საზღვარი, რომლის შემდეგაც უცხო ელემენტი აუტანელი ხდება ამათ თუ ერის ცხოვრებაში. ეს შეეხებათ სრულუფლებოვან ერებს, რომელთაც თავიანთი იმიგრაციის და დემოგრაფიის ეროვნული პოლიტიკა აქვთ, ხოლო ჩვენისთანა უფუფლებო ერზე ეს თანაფართობა და ცილებით ნაკლებია.

ყველამ კარგად იცის საბჭოთა სახელმწიფოში ადგილსამყოფელის თავისუფალი არჩევა არც არსებობს. საბჭოთა ხელისუფლებას განუსაზღვრელი უფლება აქვს

სამუშაოდ და მუდმივ საცხოვრებლად იქ გავაჩვენოს სადაც მას მოესურვება, და რათ უნდა სურდეს მათ რუსების საქართველოში ჩამოსახლება, ექვემდებარება ციმბირის და თვით შიდა რუსეთის ადგილები აუთონუბელოა, თუ არა მკავიეულური პოლიტიკისათვის. ქართველი ერის გარუსებისათვის!

ყირომი ომში ღალატის მომიზეზებით უკვე გააწმინდეს მისი ისტორიული ბინადარი თათრებისაგან, ჩვენც თუ ერთი ხელის დაკვირი გადავავსახლეს, როგორც ეს ნიკიტა ხრუშჩოვს ჰქონდა გეგმაში, ასეთი პოლიტიკით სულ რაღაც ორ-სამ თობაში დაგვემართებენ იმას რაც ათასი წლის განმავლობაში ვერ შესძლეს ჩინების ხანებმა, ლენინ-თემურბაჩი და შახ-აბასებმა: საქართველოს ისტორიულ მიწაწყალზე მცხოვრებთა უმცირესობა ილაპარაკებს რუსულად, იაზროვნებს რუსულად, ექნება რუსული ფსიხიკა და რუსული ჯიგარი. მაშინ, ქართლოსიანთა ნაშვირი უმცირესობაში აღმოჩნდება, მისი მამა-პაპების სისხლით მორწყულ მიწაზე. ცოცხალი ქართულმა ენამ იქნებ როგორმე კიდევ იარსებოს როგორც კუთხურმა კილოყავმა, დაახლოებით ისე როგორც დღეს თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, ბოლოს კი მუხებრიც კანონით სრულიად მიწყდება, გადაშენდება, როგორც არა ერთი ენა და ცივილიზაცია გადაშენდა შორეულ წარსულში... ბრმა უნდა იყო, რომ ამ უფსკრულისაკენ მიმავალი გზა არ დაინახო, ძარღვებში ქართული სისხლი გაყინული უნდა გაქონდეს, რომ რამე არ იღონო, რათა საქართველო ამ გზას ააცილინო.

ქართველობა არ შეიძლება დაკმაყოფილდეს სახლების აშენებით, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობით, ჩაის და ციტრუსების გაშენებით, დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სკოლების გამრავლებით. რაც მთავარია და აუცილებელი: ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ქართველი ხალხის ნება-სურვილით, ქართველი ხალხით, ქართველი ხალხისთვის—მისი ამწყოსა და მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს ქართველი ხალხის სუვერენობას საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი.

ა. წერეთელი.

მოქმედების საშუალებას უტოლებს; იალტის კონფერენცია (1945 წ.) ხომ დიდებულთა კარნავალით იწყება და მოსკოვს პოლიტიკის და აზიის დიდ ნაწილს უთმობს; იმევე წლის პოტსდამის შეხვედრა აფართობს რუსეთს აღმოსავლეთ გერმანიით; დასავლეთის ჯარები გადიან მეკლენტურგიდან, საქსონიიდან, ტურინგიდან და ანჰალტის მხარეებიდან, რომ თანახმად ოთხმხრივი ხელშეკრულებისა ბერლინის ოკუპაციაში მონაწილეობა მიეღობ; 1951-1953 წ. სთავაზობს მოსკოვს დიდ ნაწილს სამხრეთ კორეისას; ენენეის კონფერენცია აბარებს რუ-

გაგრძელება მე-9 გვ.

დ. ვაჟაძე.

რუსეთი და დასავლეთის დემოკრატია

პოტსდამის კონფერენციაზე, შვიდობიანობის საფუძველს რომ უყრიდნენ, ევროპის ხმა არ ისმოდა. ვინტონ ჩერჩილი დუმისლ არჩევდა და ასპარეზი ამერიკა-რუსულ დიალოგს შერჩა.

რუსებს კონფერენციები ძალიან უყვართ, რადგან ისინი მათი დიდი გამარჯვებით ბოლოვებიან: თეირანი (1943 წ.) რუსეთის აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფალ



ვვანი გევორკიანის ბარდაცვალებიდან ოცი წელი

ანდრე მარლო, ეს გამოჩენილი ფრანგი მწერალი სწავლული, პოლიტიკური მოღვაწე და დიდი ზოგადი ერთგან ბრძანებს: „სიკვდილის კულტს უდადესი ადგილი უკავია ხალხთა ცხოვრებაში“. დიახ, სიკვდილი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, ამ ორი მდგომარეობის მიჯნა არ წარმოადგენს სიბნელისა და სინათლის კონტრასტს, რადგანაც აწ გარდასულთა სხოვნა გრძელდება დარჩენილთა შორის და ამგვარად იგი მომავალ თაობებს გადაეცემა. სარკოვანებში, მუშებში, პირამიდებში, კათედრალში თუ პანთეონებში არიან ამ უწყვეტი სხოვნების მატერიალური გამოვლილებანი, და რამდენადაც მძაფრია და შთამბეჭდავი აწ გარდასულთა კულტის გამოვლინება სივრცესა და დროში, იმდენად მტკიცეა და უკვდავი მისი შემქნელი ერთი თუ ციცილიაკია.

ქართველ ვადმონეწილთა მიერ სოციალური საზოგადოება, განუყოფელი ნაწილია დედა-სამშობლოსი, იგიც სულდამულობს საქართველოს მდიდარი წარსულით — მისი ძვირფასი აზრითობით. ცილიობს, მცირედია, მაგრამ მზიან რაღაც შექმნას და ვადსაცს შთამომავლობას. ამ ღვაწლის გამოვლინებაა მცირე პანთეონის მსგავსი, რომ შეიქმნა საფრანგეთის მიწაზე, სოფელ ლევილში. შივალთ ამ, ჩამოუვლით მიკვალბულთა ძვირფას საფლავებს და მათთან სულდარ ნათლობაში იწრითობა დედაწილის მოქანცული ჩენი არსება.

აწ მოვასენეთ ოცი წლის წინათ დიდი ზარითა და გოდებით, დამოუციდებელ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — ევგენი პეტრეს ძე გევორკიანის ძვირფასი ნეშტი. მსოფლიოს ყველა კუთხეში დამწუხრდა ქართველობა და საქართველოს მეგობრები, შეიქნა წუხილი და გლოვა. მოდიოდა უამრავი დეპეშები, წერილები, სამიმრები. სწორედ ამ სიკვდილის მომენტში ყველა მიხვდა რომ ამ დიდი კაცის ბედისწერა ქართველი ერის ბედისწერაში გაერთიანდა, და მით უკვდავებს ეზიარა.

ევგორბ ეს არის უმაღლესი ჯილო სახელმწიფო მოღვაწის.

მე არ შეუვადები აწ ევ. გევორკიანის მდიდარ, მღელვარე და საინტერესო ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერას. დარწმუნებული ვარ, დრო მოვა, და ბან ევგენის გამოუჩნდება მისი საკადრის ისტორიოგრაფი. მისმა ახლო თანამებრძოლებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. არ უნდა დაუქარავონ შთამომავლობას, უნდა დასწერონ თუ რამე მნიშვნელოვანი იციან განკენებულის შესახებ.

დღეს ჩენი ამოცანა მხოლოდ, მისი გარდაცვალებიდან 20 წლისთვზე კეთილი მოგონებების სანთებში ავანთით, მუხლებში მოვიყაროთ მისი ძვირფასი საფლავის წინაშე და შევღალადოთ მამაშეცურეს:

თუ რან შეუტოვადეს შეუთნე უფალი!
 თუ რან სიკეთე დაუთესია — ამრავლე იგი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

მოულოდინე მამულს: ბრწყინვალე, კუნთებ-მაკარი, გონება ამაღლებული ახალგაზრდობა, რომლებიც აწ განსვენებულ ევგენი გევორკიანის მიერ დატოვებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებენ.

ქორიონიონი.


საქართველოს 1974 წლის ბიუჯეტი

როგორც, ჯერ საქართველოს კომპარტიის ცეკის პლენუმმა, ხოლო შემდეგ — საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ დაადგინა 1974 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულთა 1.633.437.000 მანეთი შემოსავალ-გასავალით. ამით კი საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ უმნიშვნელოდ — დაახლოებით 7.000.000 მან. გაზარდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საქმეთა კავშირის უმაღლესი საბჭო დადგენილებით, განსაზღვრული იყო 1.626.345.000 მანეთით. მაგრამ ეს არ არის ის საკითხი, რომელზედაც ახლა მსურს მივაქციოთ თქვენი ყურადღება.

ჩენი გვიანტერესებს თუ როგორ არეკლება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მისი სახალხო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა, და ამ საკითხში შეტად ძნელია გეტყვეს კაცი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფოების ბიუჯეტთა იმ ჯუნგლებში, რომელიც იქნება მათი ერთმანეთში არევის შედეგად.

მაგალითად საბჭოთა კავშირის ბიუჯეტში გამოყოფილია 95 მილიარდი მანეთი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაბანდებლად. მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტშიც არის გამოყოფილი საქართველოს სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 681 მილიონი მანეთი. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობაში მიმდინარე 1974 წელში მოსაკლვიდან დაბანდებულ იქნება ნაწილი იმ 95 მი-

29638



ლიარდ მანეთიდან, რომელიც გამოყოფილია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, ვინაიდან საქართველო, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ერთერთი მოკავშირე რესპუბლიკაა, ე. ო. საბჭოთა შემადგენელი ნაწილია. მაშინ ისმება კითხვა: რა საჭიროა საქართველოს სახალხო მეურნეობა დაფინანსებული იქნას მოსკოვისა და თბილისისავე ერთდროულად? ვითომ უმჯობეს არ იქნებოდა ყველა სახსარი, რომელიც მიმდინარე 1974 წ-ში დაბანდებული უნდა იქნეს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, ვადაეცეს თვით საქართველოს მთავრობას?

ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, უმჯობესი და უფრო ეფექტიური იქნებოდა თუ ყველა სახსარი, რომელიც დაბანდებული უნდა იქნას საქართველოს სახალხო მეურნეობაში თვით საქართველოს მთავრობის ხელში იქნებოდა, და თუ ეს ასეა — მაშინ რატომ ხდება საქართველოს სახალხო მეურნეობის დაფინანსება მოსკოვიდანაც? — ამ საკითხზე არაპირდაპირ პასუხს იძლევა ის სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ეტება საქართველოს ნაციონალურ შემოსავლს 1960—1965 და 1968 წლებში, და რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს:

1960 წ-ში, მაგალითად, საქართველოს ნაციონალური შემოსავალი უდრიდა 2,040,000,000. მანეთს, 1965 წელს 2,747,000,000 მანეთს, 1968 წელში — 3,220,000,000 მანეთს. ნაციონალური შემოსავალი ყოველ სულზე უდრიდა 1960 წელს — 494 მან. 1965 წელს 605 მანეთს; ხოლო 1968 წელს — 686 მანეთს. და თუ ამ მონაცემებს შევადარებთ საბჭოთა რუსეთის ყოველი მოქალაქის წლიურ საშუალო ნაციონალურ შემოსავალს, მაშინ ვეუბნებით მტკად ჩამაფიქრებელ შედეგებს: საბჭოთა რუსეთის ყოველი მოქალაქის საშუალო შემოსავალი 1960 წელს უდრიდა 698 მანეთს, საქართველოსი კი 494 მანეთს, 1965 წ წელს რუსეთში უდრიდა 877 მ. — საქართველოში 605 მანეთს, 1968 წელს რუსეთში — 1071 მანეთს, საქართველოში — 686 მანეთს.

რას გვეუბნება ეს სტატისტიკური ცნობები? — ეს გვეუბნება, რომ საბჭოთა რუსეთში ნაციონალური შემოსავალი მოსახლეობის თითოეულ სულზე 1960—65 და 68 წლებში, საშუალოდ იყო გაიკლებით უფრო მეტი, ვიდრე საბჭოთა საქართველოში. და რას გვეუბნება თავის მხრით ეს ფაქტი? — ეს ფაქტი გვეუბნება იმას, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის გაძოყოფილ თანხებს არ აბანდებს თანაბრად საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის შესაბამისად. და ამ ფაქტთან შევვიძლია იმის თქმაც, რომ ასეთი მდგომარეობა არსებობდა ყოველთვის და არსებობს საბჭოთა კავშირში დღესაც — მიმდინარე 1974 წელსაც — სახალხო მეურნეობის განვითარების სფეროში.


რა მიზანს ემსახურება საქართველოს სახალხო მეურნეობის დაფინანსება — ერთი მხრივ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, და მეორე მხრივ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

ჩვენი აზრით, ეს ემსახურება იმ მიზანს, რომ ცენტრმა ისე მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის გაყვავება, რომ თვით საქართველოს მთავრობამაც კი ვერ გაიყვას თუ რა გააქვს ცენტრს საქართველოდან და რა შემოაქვს თვით საქართველოში. ამის დასადასტურებლად ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენ ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რა ნაწარმი ან ნდელი მასალა გადის საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, და რა შიშობაქვთ თვით საქართველოში, რომ ამ გზით შესაძლებელი იყოს გავივით საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება საქართველოს მოსახლეობისათვის. მაგალითად, ჩვენ იმის სტატისტიკური ცნობების აღმოჩენაც ვერ შევძელით, თუ ასეთი საერთოდ არსებობს, — თუ რა საქონელს გააქვს საქართველოს უტხოეთის ბაზარზე, რა ფასებში იყიდება ეს საქონელი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სად მიდის ის ვალიუტა რომელსაც, „ცენტრს“ ლებულობს საქართველოს ნაწარმის უტხოეთის ბაზარზე გაყიდვის საფასურად. ყველა ეს ფაქტი კი ნათელჰყოფს იმას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის შედილობა სრულიად ცენტრის ხელშია და საქართველოს მთავრობის ფუნქცია მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში წარმართოს მისი ეკონომიკური ცხოვრება, ხოლო ამ ეკონომიკიდან მიღებულ სახსრებსა და განსაკუთრებით ვალიუტას ცენტრი ეპატრონება და საქართველოს ამ სახსრების მხოლოდ იმ ნაწილს აძლევენ, რომელსაც ცენტრი საჭიროდ სთვლის.

ამგვარად, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ბიუჯეტის ფარგლებშიც, ცენტრის სისტიკი კონტროლის ქვეშაა: ცენტრი კი თავის მხრივ, ანგარიშს უწევს არა საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გარდაუვალი ინტერესებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის საერთო ინტერესებს, რომლის ბირთვად კრემლი თვლის საბჭოთა რუსეთის სახალხო მეურნეობას.

საქართველოს საბჭოთა მთავრობას იმდენი ღირსება მაინც უნდა ჰქონდეს საქართველოს მთავრობის ფუნქციის, რომ მოითხოვოს ცენტრს, რათა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოო იყოს საქართველოს მთავრობის ბატონ-პატრონობაში და ამით საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაბანდებელი ყველა სახსარიც საქართველოს მთავრობის მეშვეობითა და პასუხისმგებლობით ხდებოდეს, გაბედავს ამას შევადინაძე? რა თქმა უნდა ვერა!

კ. ინსარაძე.



ვალერიან გოგუშვილი
გარდაცვალებიდან ოცი წელი.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვალერიან გოგუშვილი ცხედარი ლევილის მიწას მივაბარეთ. ვისაც ვ. გოგუშვიდი მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში გვინახავს: მხიარული, სტუმარმოყვარე, ხუმარა და ბავშვივით უწყინარი მოხუცი, ძნელი წარმოვიდგინოთ. რომ ეს ის ლეგენდარული ვალერიან გოგუშვიდი იყო, რომელიც თავზარს სცემდა, ჯერ რუსეთის მეფის პოლიციას და შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოს უამრავ უწინაურ და გარეშე მტერს...

ვ. ჩუბინიძე.

ჩამოიხსენებები ვ. გოგუშვილზე

ზაქარია გურულის სანახავად ჩვენი ბაქოში 1908 წ.-ში, იქ, მიყჩხა ვარდიანის ბინაზე გავიცანი ვალერიან გოგუშვიდი. მას თან ახლდა აბელ ენუქიძე. ვალერიანმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავისი სიმკვირცლით. ისეთი მზატი სიარული იცოდა გვეგონებოდა ფრინველს. 1917 წლის თბათვეში ვმუშაობდი თბილისში, ხავთ-ლულში. აქ შევადგინეთ გვარდია, რომელშიაც იყო 80 მუშა — სულ სოციალ-დემოკრატი. ერთ დღეს ა. დგებუთაძემ ჩვენთან მოიყვანა ვ. გოგუშვიდი. ის საკვამფოდან ახალი გამოსული იყო და ჯერ კიდევ ორი ჯოხით დადიოდა. ვალერიანმა მოხსენება გაგვიკეთა გვარდიის მოვალეობაზე და ზოგიერთ სამხედრო საკითხებზე და ცვებდასა. ამის შემდეგ ხშირად მიხდებოდა მასთან შეხვედრა და მასთან ერთად ბრძოლა.

ევგენი აფხაზავამ რუსეთიდან ჩამოიყვანა ჯავახოსანი მატარებელი. აფხაზავა კარგი ოფიცერი იყო. დასა-

„და იბრძოდა ვითარცა უზორცო...“ აღბეჭკვლილია ვითარება იბრძოდნის ის ქრთველები, რომლებმაც ისე იხსენიეს „ქართლის ცხოვრება“. მხოლოდ „უზორცო“, (ვისაც ტკივილი და შიში დაუთრგუნავს) შეიძლება მოიმიჯმედოს ისეთი საარაკო ამბები, როგორებიც მას შეუსრულებია თავის მღელვარე და მითათებით სავსე ცხოვრობის დროს. კაცი გამოსული ქართველი ხალხის ღრმა წილიდან, ღარიბი და მრავალშვილებიანი ოჯახის შვილი. მცირე კლასიკური განათლების მქონე, მხოლოდ თავისი მამაცობით, კუთით და ურყევი ნებისყოფით იკავფავს გზას ეროვნული მწერვალეობისაკენ.

შეიძლება იყო სოციალ-მისისთვის მებრძოლი, ისევე, როგორც შეიძლება იყო მისი მოწინააღმდეგე, მაგრამ არ შეიძლება აღტაცებამ არ შეგვიპყროს, როდესაც ამ მამაცი ქართველის ცხოვრებას ეცნობი.

მისი სახელი აკრძალულია დღეს საქართველოში ისევე, როგორც აკრძალულია ყველაფერი, რაც საქართველოს ახლო წარსულის დიდებაზე მეტყველებს. ჩვენ მიანიღ დენვილობაში, არ უნდა „დაგვალლოს“ ასეთი ადამიანის გახსენებამ, რადგანაც ერის ისტორიას სწორედ ასეთი „უზორცოები“ ქმნიან.


გარდაცვალების ამ ოცი წლისთავზე, მოწმობით: მოვიხსენიებთ რა ვალერიან გოგუშვილის სახელს. მოვეწოდებთ ახალგაზრდობას: მიბაძეთ მას, იყავით მასავით „უზორცო“, მამულის და ადამიანური ღირსების მოპოუწისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

გ. ქართველი.

ლეთის ფრონტზე მამაცობისათვის ოქროს ხმალი მიიღო ვალერიან. ევ. აფხაზავამ ჯავახოსანი ყოფილი ყაჩაღებისაგან შევასო. მათ შორის იყვნენ: დოლიძე, სირაძე და ხალვაში, რომლებმაც ვ. გოგუშვიდი ჩუსაჯრდენ მოსაკლავად და დასკრეს ფეხში. 1916 წელს, გურიაში.

აფხაზავას ჯავახოსანის ეკიპაჟმა წესრიგის დამკრეების მაგივრად დაიწყო მოსახლეობის ძარცვა. ვადაწყდა ახალი ჯავახოსანის გაკეთება. იგი მზად იყო სამ აგეში და მისი უფროსობა ჩაბაბასეს ვ. გოგუშვიდი. ვალერიან შეარჩია სამედიო. გამოცდილი მხედრები, გვერდში ამოიყენა თავისი ოთხი ძმა და შეუდგა საარაკო მოქმედებას სამშობლოს დასაცავად. 1917 წ. 1921 წლამდე ვ. გოგუშვიდი და მისმა ჯავახოსანმა მატარებელმა დიდი სამხატური გუწწია საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას.

პირველად ყარსის პოლკი მოადგა თბილისს, ჩვენი ჩვენი პატარა ძალებით წინ აღვუდგეკით ვ. ჯუღელის მეთაურობით და ვ. გოგუშვილის და ევ. აფხაზავას ორი ჯავახოსანით. პოლკი გაბრუნდა, მაგრამ მძევლად წაიყვანა



ევ. აფხაზავა, რომელსაც მშვიდობიანად უნდა გავცილებო-
ბია ისინი განჯამდე, განჯაში რუსებმა აფხაზავას მოუწი-
დომეს განაიარაღება. აფხაზავა არ დაემორჩილა. მასხა
შეტაკება, მოკლეს აფხაზავა და მისი ჯავშნოსანი დაამ-
ტოვინეს. ყარის პოლის რუსეთში წასვლის ერთი კვირის
შემდეგ, მოგადგა კბილებამდე შიარაღებული 28 ემე-
ლონი და მოითხოვა თბილისში შეჩერება. ეს კი ნიშ-
ნავდა დელა-ქალაქის ვაძირკვას და აწიოკებას. მოხდა
გვარდიის მობილიზაცია და თან გაიმართა მოლაპარაკე-
ბა. მიღწეულ იქნა შეთანხმება: ვ. გოგუაძის ჯავშნოსანს
უნდა გავცილებია ეს ეშალონები შანქორამდე. გავედით
ნავთლულიდან 28 იანვარს, 1918 წელს. ბევრი ხიდი გა-
ფუჭებული იყო, ლიანდაგები აყრილი, ცხენოსანი თათ-
რის ბანდები ჩასაფრებულნი, რათა თავს დასხმოდნენ რუ-
სებს და იარაღი აეყარათ. ჩვენ როგორც წინიდან ისე
უწინიდან ეშალონების მხრით, ვიყავით დიდ საფრ-
თხეში. ჩვენმა მეთაურებმა ვალოდია და ალფესა გოგუა-
ძეებმა გამოიჩინეს დიდი ნებისყოფა და წინდახედულო-
ბა. ვაკეთებდით ხიდებს, რკინის გზებს და ასე ნელ-ნელა
მივიწვევდით. მაგრამ აქ რუსებმა ჩვენ იგივე მოგვიხლო-
მეს რაც ევ. აფხაზავას. ვ. გოგუაძემ ჯავშნოსანს დააკავებ-
ნია ბანერბენისლი პოზიცია და გადაჭრით განუტყდა:
ჩვენ ჩვენი სიტყვა შევასრულეთ. მშვიდობით ჩამოგვყვა-
ნეთ, თქვენ თუ თქვენს სიტყვას არ შეასრულებთ იცო-
ლით ჩვენ თავს დავიცავთ და ძვირად დავიჯდებით.
რუსებზე ამან გასჭრა და თავი დაგვებრუნეს. წაპოვი-
ლეთ აფხაზავას დამტყუარული 6 ვაჭონი და ჩამოვტოვეთ
თბილისში. ორ დღესაც არ გაუვლია ქუთაისის საგუბერ-
ნო კომისარი გრიშა გიორგაძე იტყობინება 110 --- 115
პოლკებმა ქალაქი და სამხედრო საწყობები დაარბია
ჩქარა გვიშველეთო. გაველით ვ. ჯუღელიის მეთაურო-
ბით და გოგუაძის თანხლებით. ვ. გოგუაძემ გასწმინდა
ქუთაისის ვაგზალი რუსის ჯარისაგან და ჩვენც ქალაქი
დავიკავეთ.

ამის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა, რო-
მელშიაც ვ. გოგუაძემ თავი ისახელა იყო ჩოლოქის
ბრძოლები თათრებთან. ეს მისი გმირობა საყოველთაოდ
ცნობილია. ვ. გოგუაძე უშიშრად შეიჭრა შემოსულ
ურცებ თურქის ჯარის შუაგულში, დიდძალი მტერი
გაანადგურა და ამით ქართულ ჯარებს საშუალება მის-
ცა მტრის წინსვლა ჯერ შეეჩინა და შემდეგ კი უკუ-
ეცლო.

პარლამენტმა ვ. გოგუაძეს მაშინ მიანიჭა საქართველოს
პირველი გმირის წოდება და დელა-ქალაქმა თბილისმა
დიდი ზეიმი გადაუხადა.

საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოსევის დროს 1921
წელში ვ. გოგუაძე დაინიშნა მთელი რკინისგზების უშიშ-
როების უფროსად. აქაც მან თავი გამოიჩინა, — სამხედ-

რო ოპერაციების დროს მტერმა ვერ შესძლო რკინი-
გზის გაფუჭება.

დარწმუნებული ვარ, როცა საქართველოს მშენებლის
1917 — 1921 წლების პერიოდი დაიწერება, ვ. გოგუა-
ძე ღირსეულ იდეილს დაიჭერს მასში.

ვ. ჩუბინიძე.



რუსეთი და დას. დემოკრატია. იხ. დასაწყისი მე-2 გვ.

სეთს ინდოჩინეთის დიდ ნაწილს; 1955 წელს რუსეთმა,
დასავლეთთან კოეპერაციის პოლიტიკის ხმელთაშუა
ზღვის სივრცეზე პრეზენტაციას, რომ უკავშირებდა იმა-
საც კი მიაღწია, რომ მთელ კონტინენტზე ფართო გარან-
ტიის სისტემა შექმნა, რამაც აღმოსავლეთ ევროპაში
მისი სრული ბატონობა საბოლოოდ განამტკიცა.

ამა ყველაფერს ამ პატარა ფურცლებზე როგორ ჩა-
მოვთვლით, და ჰელსინკში დაწყებული და ენევეაში
გადატანილი ევროპის უშიშროების და თანამშრომლო-
ბის ყრბობა, ისე როგორც ენის კონფერენციაზე ჯა-
რების შემცირებაზე მოლაპარაკება მთავარ სასიცოცხლო
საკითხებში დღემდე რომ რუსეთის სასარგებლოდ, კალ-
მხრივი კონცესიები გრძელდება.

დღეს ხომ მართლდება 1959 წლის ნოემბრის ნატოს
ყრილობაზე, ამერიკის მაშინდელი საგარეო მინისტრის
ჩენსონის სიტყვები: „ყოველი ახალი მოლაპარაკება
საბჭოთა კავშირთან გერმანიის და ბერლინის საკითხზე,
და ყოველი ცდა დაძაბულობის შენეებაზე, საერთოდ,
დასავლეთის კაპიტულაციის გარეშე შეუძლებელიაო“.
დასავლეთ ევროპის და ამერიკის საგარეო პოლიტიკა
კალმხრივად განვითარდა, რაც მთავარ მათ სასიცოცხლო
ინტერესებს სრულიად არ შეესაბამება.

ბონის და მოსკოვის შორის 12 აგვისტოს 1970 წლის
დადებული ხელშეკრულება მარტო მოსკოვის აბსოლუ-
ტურ ბატონობას კი არ ნიშნავს ნახევარ ევროპაზე, არამედ
კრემლი მას პირველ ნაბიჯად თვლის ამერიკე-
ლების ევროპიდან გაძევების მიზნისთვის. ევროპის უშიშ-
როების კონფერენცია (ენევეში), რომლის დასაწყის
სტადიებში მოსკოვი ამერიკის მონაწილეობას ურაცებდა,
თავად კი ევროპიული დიდი ძალა, მისი მუდმივი აქტი-
ვი მონაწილე ყველაფერს მიმართავს, რომ ამერიკა, ევრო
პისთვის უცხო, ყრილობის მონაწილეობიდან გამოაიცი-
ლოს. კრემლი ამ მიზნისათვის ამერიკის საზოგადოებრივი
აზრის შემუშავებაშიც ბევრს მოეშობას და სენატორების
წერში მომხრეობაც გაიჩინა, რომელნიც ამერიკული ჯა-
რის მიერ ევროპის დატოვების მომხრეებად გამოდიან.



რუსეთი ჯერჯერობით დასავლეთის მიერ აღიარებული „სტატუსკვო“-ით თუ ემყოფილება, ახლო აღმოსავლეთში და ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში, ისე როგორც სამხრეთ აფრიკაში წინამძღოლის როლის შემსრულებელი გამოდის და მისი ყურადღება აკან ნაკლებ მნიშვნელოვანი ინტონაციისა და ინოვაციის ოკეანეებზეა. ხმელთაშუა ზღვის სივრცეში წამყვანი როლი საბჭოთა ექსპანსიის გეგმის გლობალური სტრატეგიის მთავარი ინტერესია. დაძაბულობის შენელების პოლიტიკა საბჭოთა გავებით ნიშნავს დასავლეთის მიერ მოსკოვის შუა ევროპის ლეგიტიმაციის ვარდა, კრემლის მიერ შექმნილი ახალი რეალიტეტობის ცნობას ხმელთა შუა ზღვაში და ახლო აღმოსავლეთში, ახლო აღმოსავლეთის ზღვა საბჭოთა კავშირის ყველა სახის ფლოტის გაწერინისა და ვარჯიშობის ცენტრია, სადაც კონკრეტურად უძლიერესი სამხედრო გემთა მშენებლობა და თუ ვარშავის პაქტის საზღვაო ძლიერება გერმანიის და დანიის (ნატოს წევრები.) ძალგზას შედარებით 4-ჯერ მეტია. ადვილი წარმოსადგენია, საერთოდ სკანდინავიის და განსაკუთრებით მისი ზემოწარდილოეთის მდგომარეობა. სადაც მსოფლიო პოლიტიკური ინტერესები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთმანეთს ხვდებიან. აქ ხომ რუსეთი აღწევს და ხელს და ამით მისთვის მუდამ სანუკვარ შესასვლელს ატლანტიკაში.

ეგვიპტის ნავსადგურებში საბჭოთა სამხედრო გემების არსებობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ალექსანდრიაში და პორტ-საიდში, ისე როგორც სირიის ლატაკიაში და სხვა მრავალ ნავსადგურში კრემლი როგორც საკუთარ სახლში გარძნობს თავს. ხმელთაშუა ზღვა საბჭოთა რუსეთის სათარეშო ადგილად გადაიქცა, ეგვიპტე, სირია, არაბი საბჭოების გავლენისა და დამოკიდებულების ობიექტად გადაქცეულან და კიდევაც რომ მოისურვონ (როგორც ამ ბოლო დროს ამის ნიშნები ჩანს), თავის განთავისუფლება ძნელი გახდება. თუ ამაში გარეზე ძალა არ დანახარავთ, რის სიმბტომებსაც ამ ბოლო დროს აშკარად ვხედავთ. ლიბია, ნავთის შესაძვ დიდი პროექტორი, 1969 წლის გადატვირლების შემდეგ, პროდასავლეთის ნეიტრალიტეტიდან გამოტაცებული და ეგვიპტეს ერთგვარი პროტექტორატის ქვეშ მოქცეული, საბჭოების გავლენის ქვეშ მოექცა. ალჟირი, ტრანსიკვიანალურ პრინციპულად მიჩნული მოსწამლა საწყობთა ბაქცილებით და ვინ იცის მაროკო და ტუნისში პროდასავლეთის ნეიტრალიტეტის სფეროში კიდევ რამდენხანს დარჩებიან.


ამერიკასთან უშუალო კონფრონტაციის შიშით კრემლი გაურბის ომს ახლო აღმოსავლეთში, თორემ მის ინტერესებში სრულიად არ შედის არაბ-იზრაელის კონფლიქტში სრული მშვიდობიანობის მიღწევა, პირაქით, ახლო აღმოსავლეთი მოუსვენარ და მდღევარე ადგილად

უნდა დარჩეს ევროპის კარების წინ, რომელიც ინტერვენციის მუდმივ საშუალებას იძლევა. რამდენიმე წლის სამხრეთ აღმოსავლეთ ფრთის წინააღმდეგ ისევე ინტერესის მსოფლიოზე და მის ნათესე გეგმონების გამტყიცებისათვის. იტალია, სამხრეთი და თურქეთი, ნატო ეს სამი ნახევარკონტინენტზე ხმელთაშუა ზღვის სივრცეში, თავიანთ 80—90 პროცენტი ნავთის მოთარევნობას წყლის გზით ემყოფილებენ, და საბჭოთა კავშირს, კრიზისის შემთხვევაში, მთავარი მისვლა-მოსაკლის გზის გადაჭრა ადვილად შეეძლება და რაც მთავარია, მოსკოვს ნავთის ევროპაზე მიწოდების გაძნელების საშუალებაც ექნება, რითაც ევროპის მეურნეობის სასიკოცხოლო ნერვსაც გადაჭრის და დასავლეთის ნილიტარული პოტენციალის დასუსტებასაც გამოიწვევს.

ძნელად დასაჯერებელია დასავლეთის დემოკრატიკ ვერ ხედავდეს, რომ ნავთის უმხარავ კრემლის წაქეზებით მომხდარი ფართო ორგანიზებული თავდასხმის ფორმტია, მოსკოვის დიდი სტრატეგიის ოპერაცია, უშიშროების, თანამშრომლობის და განიარაღების პოლიტიკაში მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. რუსეთმა ეკონომიური გზით დასავლეთის სამეურნეო საფუძვლების განადგურების დემონსტრაცია გააკეთა, ყენევაში და ვენისა თავისი მიზნების მისაღწევად.

დასვლეთს არ ეგონოს, რომ ევენვისა და ვენის ყრილობების დასრულების შემდეგ, თუგინდ რუსეთის სასარებგლოდ, მოსკოვი ამით დაკმაყოფილდეს და ხელი იძლოს თავის შაინისტურ რაზმებზედა. დასავლეთის მსოფლიოს მაღალ ინტელტრიაზურ მეურნეობას ხომ მარტო ნავთი არ ესაჭიროება, არამედ ბევრი ნედლეულიც, რომლის რეზერვუარი საკუთარ მიწაში ამოწურულია და ურომლისოდაც ინტუს-ულ საზოგადოებას სიცოცხლე არ შეუძლია. რა გარანტიაა, რომ ზვალ აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები იმავე კრემლის წაქეზებით ამ ნედლ მასალას პოლიტიკური შანტაჟის იარაღად და გამოიყენებენ? ხომ ამ მიზნობა ნათქვამია საბჭოთა კავშირის მინისტრთა სას. თავმჯდომარის სიტყვაში, როცა კლასიკური დახმარების დაპირებით მიმართავს დასავლეთის მეურნეობის წინააღმდეგ მებრძოლთ: „ესა-მე მსოფლიოს ხალხს, მათა ნიკონასლური წიალისეული სიმდიდრის დაბრუნებაში, ისე როგორც შენარჩუნებაში, თუ ისინი საჭიროდ მიჩნევენ, საბჭოთა კავშირი ყუცილგვარ დახმარებას და ზელის შეწყობას აღმოუჩენსო“

ეს ხომ უბრალო გადაკერა არაა, რომ ის ვერ გავიგოთ, არამედ ყველასათვის გასაგებ ენით თქმული მუქარა დასავლეთის მისამართზე, და აშკარაა, რომ რუსეთის დიპლომატია მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ამ მიმართულებით მოქმედობს. სპარსეთის შახი, ლიბიის ხელმძღვანელი კადფვი, სირიელი საული, არაბეთის მეფე ფეიასალი და სპარსეთის ყურის ნავთის შახები ამ გეგმას



ახორციელებენ, მართალია სხვა და სხვა მოტივებით და განსხვავებული სტრატეგიით, მაგრამ ერთი და იგივე ეფექტით. ისინიც ვერ ჩაწვდნენ კრემლის საგარეო პოლიტიკის ნამდვილ ზრახვებს და, ისე როგორც დასავლეთი ყოველთვის ეგებიან წითელ ანკვსზედ.

დიდი ხანი არაა, ამერიკისა და საბჭოთა რუსეთის საერთო ინტერესს წარმოადგენდა ინდოეთი და საერთოდ სამხრეთ აღმოსავლეთი ჩინეთის სატელიტებად არ გადმეტყულებოდნენ, და დღეს კი ინდოეთში საბჭოთა კავშირის „ეკონომიური ექსპანსიის“ პოლიტიკა განპირობებულია პოლიტიკური მოტივებით, და გამაღებელი შეიარაღებით, იქ შფოთისა და არეულობის გამოწვევით ნიადაგს იმზადებს ინდოეთიც თავის ვაგუნის ქვეშ მოაქციოს. ეს არ უნდა ავიწყდებოდეს ამერიკის პრეზიდენტს და ისიც უნდა იცოდეს, რომ ბრეჟნევი სენსაციების დიდი მოყვარულია და სტრატეგიული იარაღების საკითხში ნიქსონთან შეთანხმებულ მეტად დინტერესებულნი, მისი მისკოვში ჩაფრენამდე რამოდენიმე დღით ადრე, უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო სიტყვაში დასავლეთის, მისთვის ჩვეული თვალთმაქცობით მოუწოდებს მიუის ქვეშა ატომიური გამოცდების შეწყვეტას.

არც გვენერალ გროგორენკოს ფსინიატრულ საავადმყოფოში პატიმრობიდან განთავისუფლება, საბ. რეჟიმის გალიბერალდების ნიშნად არ უნდა ჩათვალოს ამერიკის პრეზიდენტმა და ეკონომიური შეთანხმება და ევროპის უშიშროების კონფერენცია, გათვალისწინების სამებრ, მანად უნდა ვეძღუებოდეს, სანამ საბჭოებს მეტ თავისუფლების აღიარებაზედ არ დათანხმებს.

გამოჩენილი საბჭოთა ატომფიზიკოსი ანდრეი საჰაროვი, შიმშილობის გამოცხადებით, ცდილობს ამერიკის პრეზიდენტის ყურადღება მიექციოს რუსეთის ციხე-სიმაგრეებში და ფსიქოურ კლინიკებში გამომწყვდეული პოლიტიკურ ტუსაღების ბედზე, რომლითაც, თუ ნიქსონი არ დაინტერესდა და ენერგიულად ბრეჟნევის არ მოსთხოვა, გამოჩენილი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ქალიშვილის. ალექსანდრა ტოლსტოის საქციელს ბევრი მოქალაქე წაბაძას. 90 წლის ქალი, პრეზიდენტ ნიქსონის რუსეთში გამგზავრების პროფესტად, მის სურათს კედლიდან ხსნის და სარდაფში ჩააქურდა, და ეს იმითომ, რომ მისი ღრმა რწმენით ამ მოგზაურობიდან მსუღლიო მშვიდობიანობისთვის კარგი არაფერი გამოვა.

როგორ მოხდა, რომ რუსეთი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში მთავარ როლს თამაშობს? ამაზე შევეცდებით პასუხი გავცე თავისუფლების ტრიბუნის შემდეგ ნომერში.

დ. ვ. შაძე.

თუ წარსულ წლებში ქართველების საქმეში მსხვილობდა პრესაში — სამეცნიერო კონგრესების, მუსიკალური კონკურსების, სპორტულ ან საქალაქო შეჯიბრებების გამოისობით — ესენი უფრო ხშირად მოხსენებული იყვნენ „საბჭოლებთან“, და ხშირად კიდევ „რუსებთან“, (მიუხედავად ზოგიერთების გაბედულ პრაქტიკისა.)

ასეთივე მდგომარეობაა ქართულ კინოფილმების ექსპორტის დარგში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პარიზში, ხუთი წლის მანძილზე, ამ საბჭოთა ექსპორტის, სათავეში (ფორმალურად) იდგა ქართველი, ვინმე თანგი ვილი, პარიზს თუ სწვდებოდა ქართული ფილმი ის იყო უაქცილებლად რუსულად „დუბლირებული“ და რუსული წარწერებით... პროიენციის ამასაც არ აწოდებდნენ. თუ შესანიშნავ „გიორგობის თეა“-მ გააჩლია რუსული იზოლიატორული ფარდა, ეს ხომ ქან ელხა ტროლეს წყალობით მოხდა, რომელმაც სასწრაფოდ მოახერხა მისი გამოჩანა პარიზში, თავისი „აღმ. ევროპის ქვეყნების კინოფილმების ორკვირეულისთვის“, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ამ ნახევრად აკრძალული ფილმის რუსული ვერსია.

არის სხვა შემთხვევაც. როდესაც დასავლეთ ქვეყნებში ქართულ ხელოვნებისადმი გამოჩენილ ინტერესმა, ზოგიერთ პიროვნების მიერ, და მათმა ენერგიულმა ინიციატივამ მიალწიეს მიზანს, და მოსკოვმა ხელი არ შეუშალა პროექტის განხორციელებას. სახეში გვაქვს 1969 წლის მარტ-აპრილის, პარიზში ლუერის სასახლეში, ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრობის გამოფენა, რომელიც დიდს წარმატებით ჩატარდა, და პრესის მსურველ შეფასება მიიღო.

სამაგიეროდ მოზაიკების პირველ საერთაშორისო კონგრესზე და გამოფენაზე, ქალ. ანტიბის საკონგრესო სასახლეში (1972 წ.) — საქართველოდან არც ვინმე მომხმენებელი. არც ექსპონატი არ იყო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სათანადო მოწვევები მწართველთა კომისიამ გაუგზავნა საბჭოთა საქართველოს მმართველთა.

მაშ შეიძლება ერთგვარ შეღავათად ჩათვალოს მოსკოვის მხრიდან ნებართვები: ქართულ ხელოვნების „გარედ“ ჩვენებისა. ქალაქ საარბრუენში, (დას გეომინა), და ქალაქ ბერგამოში (იტალია). მართალია, რომ ორთავე შემთხვევაში ინიციატივა გამოდიოდა ქართულ კულტურისადმი კეთილ განწყობილ დასავლეთელ პირებიდან ან წრიდან. და რომ მიზნის მიღწევას დასპირდა მათი თვავამოდებული, ხანგრძლივი ზრუნვა.



ქ. საარბრუენში, უკვე შარშან, ადგილობრივი 1200 ადგილიან ოპერის სახელოსნოს, ბ. ვილკინდის ვადამწყვეტ ხელისშეწყობით, და შესანიშნავ ღვდლის ბან ოპერმანის ლაქწლით. (მან ქართულიდან გარმანულად სიარგმანა ლობრეტო) — დიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისა“. ეს პირველი გამარჯვებული ცდა აღმოჩნდა ნაყოფიერი. ვინაიდან წრეთეს, (29 მაისიდან 8 ივნისამდე) საკონცერტო კაფარტოვებუთი პროგრამათ, მძავე ოპერაში შესრულდა „ქართული კვირეული“. გარდა „დაისას“ დადგმული იქმნა ო. თაქათაშვილის „მინდია“, რასაც დაემატა „რუსთავის გუნდი“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, ქართული სახელმწიფო კვარტეტი და დავით კლიაშვილის „სამანიშვილის დენინაცეალი“, რომ. სტურუას და თეოდორ ჩხეიას ნიჟერ რეჟისორობით. კომედია ჯერ გათამაშებული იქმნა გერმანულად (თარგმანი ქან ნელი ამაშუკელის) და, მაშინათვე ქართულად თბილისის „რუსთაველის თეატრის“ მსახიობების მიერ — ისე დაბაჯერებულად, რომ ამ ვარიანტმა გერმანულ მყურებლებში აღტაცება გამოიწვია, ბრუსელ-პარიზ-მიუნხენიდან ჩამოსულ ქართველებზე კი დაუვიწყარი შთაბეჭდილება.

მტკრისპირელი.

პ.რ.ფ. დ. ლანჯის „სომხეთის ისტორია“.

პროფესორი დავიდ ლანჯი ცნობილია ქართველ მკითხველთათვის თავისი მრავალი და შესანიშნავი შრომებით საქართველოზე. უყანასწნლად მან ასევე შესანიშნავი შრომა უძღვნა სომხეთს. („სომხეთის ისტორია“ ლონდონი, 1980 წელი.) აქ მოკლედ ვაღმოცემულია სომხეთის ისტორია და კულტურა. საფუძვლიანად შესწავლილი და მომხიბლავი ფერებით შესრულებული. გარდგნულდაც კარგად არის გაფორმებული და უხვად დასურათებული ხელოვნების ძეგლებით. წიგნი დაახლოებით, იმავე ფორმით არის დაწერილი, როგორც მისი წიგნი: „ქართველნი“. ვანსხეავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე წიგნის შემთხვევაში ლაბარაკია არა მარტო სომხეთზე, როდესაც ის სომხების ხელში ვადავიდა, არამედ ანტიურ სომხეთზედაც, როდესაც სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა ურარტუს სახელმწიფო და მამასადამე ამ ქვეყნის პრიტორიაც უმთავრესად ურარტუს ხალხსაც შეეხება. სომხების დაცავიერება ამ ხალხთან ბუნებრივად გვეჩვენება, რაკი სომხეთა შედგევი კულტურა აღმოცენდა პირველზე და ფიზიკურდაც ამ ინდოკროპული მოდების ხალხის სრული ასიმილიაცია მახდა ურარტელებთან. სომხური ენის ვაბატონებით.

ისტორიული ნაწილი კარგად არის ვადმოცეპული, გარდა ზოგიერთი შეფერადებისა. მკითხველში ბუნებრივად თანარქმობის იწვევს ბედი სომხეთა ერისა, რომელსაც წარსულში ბევრი რამ შეუქმნია და მერე კი დროთა ბრუნვაში ის დაიქსანდა და საკუთარი „შემცირებულ ტერიტორიაზე ასევე შემცირებულ მოსახლეობა დარჩა.

ოპერის არტისტები იყენენ ვანთქმულო ქართული მომღერლები: ცისანა ტატიშვილი, ლამარაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ზურაბ სოტკიალაშვილი, ზურაბ სოფრაძე, შოთა კიკნაძე, ხოლო ქართულ ცეკვებს ასრულებდა ვახტანგ გუჩუაშვილი.

„სამანიშვილის დენინაცეალიში“ მთავარი როლიერეკავათ: ბეკინა—ბუნუტი ზაქარაძეს, პლატონი—გიორგი გეგეჭკორს, კირილ—რამაზ ჩხეიკაძეს, არისტო—კარლო საყვარელიძეს. მელანი—ელენე საყვარელიძეს.

ძვირფასად ვამოცემულ პროგრამაში ისტორიული მიზობილვას დაეცუო საბჭოური ცენზურა: „ოქტომბ. რევოლუციის შემდგომ, თბილისში ჯერ იყენენ 1921 წლამდე, მენშევიეები, რის შემდგომ დამყარდა საბჭოთა უფლება“ —(ამგვარად მოსკოვი მუდამ და ყველგან ჩამალავს ფაქტს, რომ 1921 წელში, საბჭოთა რუსეთმა ძალით დაიპყრო დამოუცილებელი ქართული სახელმწიფო).

ლ. ზურაბიშვილი.

(გავრტელებს შემდეგ ნომერში).

მაგრამ ავტორი ისტორიით არ კმაყოფილებდა და რომ ის თანამედროვეებს ვადაბას, ერთიარად იჭრება პოლიტიკაშიც: სადაც ის იძულებულია რეალურ სინამდვილეს უღალატოს და ვაპყვეს დამპყრობელი ძალის იაფ პროპაგანდას; ამაში კი ვერც სომხის პატრიოტები და ვერც მათი მეზობლები ტაშს ვერ დაუკრევენ. ვავტორი ის სომხეთა ახლო მეზობლებსაც უჩება და აქაც მათ ურთიერთობას არა სწორად ასახავს. ამ უარყოფით მოვლენებზე მცირე მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილებთ.

1. მან ზერეფედ ვადურბინა სომხეთის დამოუცილებლობის პერიოდს და სომხეთისათვის საუციუესო ვამოსავლად დასახა ბოლშევიკური რუსეთის მიერ მისი დამკრობა, იმ საბუთით რომ სომხეთი ტერიტორიალურად შეუწყებელი იყო თურქებისაგან! ფაქტი კი ის არის რომ დამოუცილებელ სომხეთში შედიოდა ყარსი და მისი ოლქი, რაც დაახლოებით იგივეა რაც სავრანეთისთვის ელზასი. ხოლო ე. წ. სომხეთის ვასაბჭოების შედეგ სწორედ რუსებმა ეს მხარე ჩამოაჭრეს სომხეთს და თურქებს ვადალუოცეს და მერე ეს „საბჭოთა სომხეთის მთავრობას“ ოფიციალური ხელშეკრულებით დამტკიცებინეს. ისევე როგორც საქართველოს ჩამოაჭრეს არტანანის და ართვინის ოლქები და თათრებს ვადასცეს. ან და რა საბუთია რომ ერთი დამპყრობელის შოშით მეორის დაპყრობა ვაგამართლოთ?! მით უმეტეს რომ ამ დროს თურქეთის იმპერია უკვე აღარ არსებობდა და მოსალოდნელი იყო, რომ სომხეთი და საქართველო თურქეთთან მშვიდობიან ურთიერთობას დაამყარებდენ.

რამდენჯერ ნახა
ხევენა პლანეტამ
ძალთა ჭიდილი
სიკვდილის გზები
მარადიული მიწეზები
ნუკრი და მგელი
უძლურთა ბრძოლა
წლიერების უკულმართობა
და ფრთებ დაშვარი
საცოდავი
პიკასოს მტრედი. . .

იდავე ჰელსინკი,
იდავე,
ივწყე ხრუშჩოვის
კონგრესი,
ივწყე რაც ხდება
ყოველი;
დახუჭე თვალები
სისტლის ფერ მიწამდე,
პასუხს მოითხოვს
საბჭოთა მკვლელობა;
და შიშის შედეგი

საკუთარ რწმენაში
დევნილთა საგიე,
დასჯილი სულები,
მილიონები
შავ ბედისწერაში,
იდავე ჰელსინკი,
იდავე,
ივწყე სიცოცხლე
სიკვდილის ქალაში:
თბილისის ქუჩები,
მშვიერი ტანკები,

ზაფხულის მკვლელობა
და იან პალაში;
დგას ორი მეტოქე
კლანჭებ დაგვილი,
დაპრობოლ ერების
შიში და განვაში;
არ არის მზილება,
არ არის განკითხვა,
სახე შეშინებულ
ატომის ხანაში.

პარიზი, 1973.

გ. ყიფიანი

2. მეზობლებიდან, ის სწერს, რომ სომხეთს საქართველოსთან სადაო აქვს სამცხე და ჯავახეთიო. ჯერ ერთი, სამცხეზე სომხებს არასოდეს პრეტენზია არ განუცხადებიათ. ხოლო რაც შეეხება ჯავახეთს, ბნ- დავით ლანგმა ჩვენზე ნაკლებად არ იცის ასეთი პრეტენზიის უნიადაგობა და სრულიად საჭირო არ იყო გაბატონებული ძალის გალიზიანება და ორ მეზობელ ზალხში ხელოვნური უთანხმოების ჩამოგდება!

მოკლედ, ჩვენი ავტორი მონაა გაბატონებული რეჟიმის უაზრო პროპაგანდისა. თითქოს „საბჭოთა“ პერიოდში სომხეთსა და საქართველოშიც დიდ მალწეეებს აქვს ადგილი! ბნ- ლანგს რატომ ავიწყდება რომ ის დიდი კულტურა რაც ამ ორმა ერმა შექმნა წარსულში, თითქმის ყოველთვის უცხო ძალების ბატონობის ქვეშ ხდებოდა. და ამას ეს გაბატონებული ქვეყნები კი არ ქმნიდენ, რომელნიც ხშირად კულტურულად გააილეებით დაბლა იდგნენ, არამედ თვით სომხის და ქართველი ზალხის გენია, და ის რაც დღეს იქმნება მხოლოდ წარსულის განმეორებაა, რუსები კი ამაში მხოლოდ აბრკილებენ.

საბჭოთა სისტემის იდეალიზაციის გვერდით ავტორს ავიწყდება ფაქტები და სინამდვილე.

1. სომეხ-ქართველთა ტერიტორიები სწორედ რუსებმა გადაულოცეს თურქებს.

2 აშენებენ სახლებს და ხალხს ბინა არა აქვს. ერთ ბინაში ხშირად ორი და სამი ოჯახი სცხოვრობს.

3. აშენებენ ქარხნებს და ხალხს ელემენტალური მოთხოვნილების საგნები არა აქვთ.

4. ანტითარბუნ სოფლის მეურნეობას და ხალხს საშემული პური არა აქვთ და იძულებული არიან კაპიტალისტურ ქვეყნებს სთხოვონ დანხარება.

5. ამრავლებენ სკოლებსა და ჭარბ ინტელიგენციას ავზენიან რუსეთში, ხოლო მუშახელის საბაბით რუსებს ასახლებენ აქეთ. ცხადია რუსიფიკაციის მიზნით, ისევე როგორც იქეთადა ცარისტული რუსეთი.

6. ოფიციალურად აცხადებენ რომ ეს ქვეყნები არიან თავისუფალი. დამოუკიდებელი, და არც ერთ მთავანს არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი რომელიმე ქვეყანაში. ხოლო შიგნით ყოველივეს განაგებენ ან რუსები ან და მათან დაქირავებული ჩინოვნიკები. ყოველი სფერო შინაგანი ცხოვრებისა პირდაპირ თუ არა პირდაპირ მოსკოვს ემორჩილება. სამხედრო უწყება, სასამართლო უწყება, განათლების საქმე და საერთოდ ყოველგვარი ეკონომიური საქმიანობა მიმდინარეობს მოსკოვის გეგმით, წმინდა რუსული მიზნების მიხედვით. სომხებისა და საქართველოს უნივერსიტეტებს და თვით ე. წ. მთავრობასაც, იმის უფლებაც კი არა აქვთ რომ კანდიტატის სადელეგირო ხარისხი დამატკიონ!

ეს არის სინამდვილე და უცხო მეცნიერი რუსების ცივირების ანკესზე არ უნდა წამოეგოს.

პირდაპირ სასაქლო შობაქედლებს სტოვებს ზოგიერთი დეტალი. ავტორმა საფლის ტერატრას კანდიდატი მიქოიანი სომხეთის ეროვნულ გმირად გამოაცხადა. ამაზე ოლბათ ვარდან მამიკონიანს საფლავში ვული გაუსკდებოდა!

ქვეყნად არ არსებობს ერი, რომელიც დაპრობას ამართლებდნ რა გინდ დიდ გასაჭირში არ იყოს ის და სომხის ერიც არსებითად იბრძოდა მუდამ ყოველგვარი დამპყრობელის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის და ის ამას განაგრძობს დღესაც. და ის რასაც სომხის ერი ასეთ პირობებში აკეთებს, ეს მიეწერება მის სუვერულ შერმოქმედებით გენიას და არა მტრის კეთილ ურთვილებს.

მტკვრისპირელი.

ინავ სოლჟენიცინი

რუსეთიდან გადმოსახლებულ კონტრსტრუქტორებს ჭიებატენ: მწერალი ვლადიმერ მაქსიმოვი, რომელიც სავრანგეთში იმყოფება „პენ-კლუბის“ საზოგადოების მიწვევით და პავლე ლიტვინოვი, (მაქსიმ ლიტვინოვის შვილი-შვილი.) რომელიც ამერიკის შ. შტატებში ჩავიდა და როგორც ჩანს იწყებს მოღვაწეობას ვალერი ჩალიძისთან ერთად ჟურნალში: „ქრონიკა საბჭოთა კავშირში უღლებათა დაცვისა“.

ასევე გადმოსახლებულ იყვნენ და 29 მარტს ეწვევამი ჩაოვიდნენ ალ. სოლჟენიცინის ცალი, შვილები და 80 წლის სიღვრი.

ილუზია არ უნდა დაგვებადოს თითქოს კრემლს ყველა მოწინააღმდეგებს უცხოეთში ასახლებდეს. წესნი იმ მკირე ნაწილს წარმოადგენენ, რომლებსაც დიდი საერთაშორისო გამხმარებება აქვთ, და რომ ეს საერთაშორისო აზრი დაშოშმინოს ბრეჯნევი და კომპანია არჩევს მათ უცხოეთში გამოსტუმრებას, დანარჩენ დიდ უმრავლესობას კი ამწყურევენ ციხეებში, ბანაკებში და ფსიქიატრულ საავადმყოფოებში. ანდრი სხაროვის უკანასკნელი განცხადების თანახმად ამ უკანასკნელთა რიცხვი ამაჲმად მილიონ შვიდასი ათასს აღწევს. საყოველთაოდ ცნობილია ამ აკადემიკოსის განცხადებების სერიოზულობა და საუთუდობა.

„წერილი საბჭოთა კავშირის ბელადებს.“

ამ უკანასკნელ ხანებში „იმკა-პრეს“-მა, პარიზში, რუსულ ენაზე, გამოსცა ალ. სოლჟენიცინის წიგნაკი: „წერილი საბჭოთა კავშირის ბელადებს.“ ეს წერილი ავტორის მიუწერია გასული წლის ზაფხულში, მანამ სანამ ის გადაწყვიტდა „არქიპელაგ გულაგ“-ის დაბეჭდვას. ამ წერილით სოლჟენიცინი მიმართავს საბჭოთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელებს, როგორც რუსი რუსებს და სთავაზობს მათ თავის აზრებს მომავალში სახელმძღვანელოდ.

ამ წერილის მიხედვით: დასავლეთის ცივილიზაციას და მასთან ერთად რუსეთს, ტენიკის უსაშველო განვითარებით და მოსახლეობის გამრავლებით ემუქრება უმეტესო კატასტროფა სულ ახლო მომავალში. ამის გარდა რუსეთს ემუქრება დიდი მფრთხე ჩინეთთან მოსალოდნელი კონფლიქტის გამო. ამ ორი ძირითადი საფრთხიდან, რომ რუსეთი უფენებელი გამოვიდეს საჭიროა მან მთელი გულისყური ჩრდილო-აღმოსავლეთ სიბრტეზე გადაიტანოს, კომბიოი დაასხლოს და აითვისოს. ამ ზემოდ თქმული ორი უდიდესი საფრთხის არსებობის მიზეზითვე, რუსეთმა ხელი უნდა აიღოს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაზე, რომელმაც რუსეთს გარდა უბედურებისა კარგი არაფერი მოუტანა, და რომელიც

რუსეთს აკისრებს აწარმოოს მუდმივი დაძაბული მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებისა და კუბის მიმართ. იგი რუსეთისაგან მოითხოვს უზარმაზარ დაზანდებებს ციხელი ძალების და მატერიალურ სიძიდორისას. რათა მხარი დაეჭიროს საშრეთ ამერიკის, ავრკიის და აზიის ხალხთა აჯანყებების ორგანიზაციასა და განხორციელებას. თუ რუსეთი ხელს აიღებს ყოველივე ამაზე, ამრიგად განათავისუფლებული რუსურსები და აღმიაწნები გამოყენებული იქნებიან სწორად ციმბირის დასასახლებლად და საექსპლუატაციოდ, სრულად ადვილად მიღწეული იქნება დასავლეთთან შვეიცილიანი თანარსებობა და მაშინ ჩინეთთან მოსალოდნელი კონფლიქტის საშიშროებაც შემცირდება.

ამრიგად, სოლჟენიცინი მოითხოვს რუსული ეროვნული ინტელექტუალის შექმნას, რომელიც დაეყრდნობა არა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, არამედ დაუბრუნდება რუსულ სათავეებს — პირველყოფილ ქრისტიანულ მორალს და ეთიკას.

თუმცა რუსების მიერ დაპყრობილ ერთა შესახებ, ალ. სოლჟენიცინი ძირითადად არაფერს ამბობს, მაგრამ ერთ ადვილას, შენიშვნის სახით აღნიშნავს: „რუსეთის ყურადღების ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთში გადატანა თავისთავად გამოიწვევს რუსეთის აპეკეთობის მოსხნას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე. ასევე, მომავალი ეროვნული რუსეთის ფარგლებში ძალით არ უნდა არ ეკავიეთ საბჭოთა კავშირის განაპირა ერები.“

ყველა ამ ზემოდ ჩამოთვლილ სათიებში ჩვენ, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მუბრძოლთა, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს: თუ რუსები ჩვენ თაჲს: დაგვანებებენ, შექმნან თავიანთი ეროვნული სახელმწიფო და მოაწყონ იგი მათი უნარის და საშუალებების მიხედვით. მაგრამ არ შეიძლება რეზერვები არ გვექმნდეს ამ „წერილის“ შესახებ, როცა საკითხი ეხება თუ ვის უნდა განახორციელოს ეს სახელმწიფოებრივი გარდაქმნები, ან რა პოლიტიკურ ჩარჩოს სთავაზობს სოლჟენიცინი მომავალ რუსეთის ეროვნულ სახელმწიფოს.

საბჭოთა ტირანიასთან ასეთი გამოჩენილი მეტროპოლიტე რამალოებული ქემარტი დემოკრატის აღიარებამდე, ავი მთავარ ყლოდლებას აქცევს დემოკრატის სუსტ მზარეებს და მხედველობიდან უშვებს სწორედ იმას რაც წარმოადგენს დემოკრატის ძალას და ლიბრებას. სოლჟენიცინი როდი მოითხოვს ძალაუფლების ხალხისათვის გადაცემას, არამედ ის ავტორიტარული ხელისუფლების მომხრება, ამ პირობით, რომ იმან არ მიიღოს ტირანიის სახე. კიდევ მეტი, სოლჟენიცინი თანახმაა დარჩეს საბჭოები, როგორც ისინი იყენენ 1918 წ. 6 ივნისამდე, დარჩეს ერთად ერთი კომუნისტური პარტია და ქვეყანას წუთმდენ იგივე ბელადები ვინც დღეს. ეს ზომ პოლიტიკური უაზრობაა, და ამრიგად სოლჟენი-

ცინის „წერილი“ არ სტოვებს სერიალულ პოლიტიკურ ლექტიონის შთაბეჭდილებას.

პირუტყველი შიში დამოკრატული რეჟიმისადმი ხშირად გამოწვეულია იმპერილისტური ზრახვებით.

1970 წლის ნობელის პრემიის უკანა სურბიტი, ხომ არ არის ნაკარნახევი რუსული იმპერიალისტური მოსაზრებებით?

ბამგალი.

წერილები რედაქციას

პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

ვთხოვთ მიათავსოთ თქვენს ვაჭეთში ჩემი უთხნობა ბ-ნ ლევან ზურაბიშვილის წერილზე (თ. ტ. № 1), სადაც ის გვეკარნახებს დაბრუნებას იმ რესპუბლიკისკენ, რომელიც ჩვენ დაეკარგეთ 1921 წელს.

ღიაა, არა ვარ თანახმა და ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენი ერისა (არა მარტო იტყვის) იყვირებს: ჩვენი ძვირფასი და პატიოსანი მსხვერპლები, რომლებიც დაიბრუნენ, დაღვარეს სისხლი და კვდებოდნენ, იყვენ მსხვერპლად მიტანილნი არა რომელიმე პარტიის ან რესპუბლიკისათვის არამედ საშობლოსათვის, მისი თავისუფლებისათვის. ჰქოთხე იმ ოჯახებს, რომლებმაც დაჰკარგეს მამა. შვილი, ძმა, ქმარი, დედა ან და, და დარჩა კი ოჯახი, რომელსაც არ გაეკლოს ერთი მსხვერპლი მინცქ?

რატომ გვეკარნახებენ, რომ ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ იმ რესპუბლიკას, რომელმაც ვერც სუსტად იზრუნა ერის გაერთიანებისათვის (რომ მეტი არა ვთქვათ), და ამცირა ეროვნული გრძობა და თითქმის არაფერი მოამზადა ვარეშე მტრისაგან დასაცავად. ამის შედეგი: იცოცხლა მხოლოდ 3 წელიწადი, როცა ჩვენი ერის ისტორია ითვლია ათჯერ მეტ საუკუნეს.

არა, ჩვენ არ გვეკუთნის უფლება უკარნახოთ განთავისუფლებულ ქართველ ერს ესა თუ ის რეჟიმი. ეს უფლება თვით ქართველმა ერმა, იმ დიდი ტანჯვით და უამრავლი მსხვერპლით და კულტურული დონით, თვით დამსახურა.

პატივისცამით: ვიორგი ვანჩაძე.

~~~~~

#### ლ. ზურაბიშვილის პასუხი.

პატლო ბატონო და მეგობარო ვიორგი, სრული შემართება: ჩვენი ერის სურვილს და საციკოცლო საჭიროებას წარმოადგენს დამოუკიდებლობის უპირობო აღდგენა. როდესაც ჩვენ ვახსენებთ და ვახსენებთ: „დემოკრატიულ რესპუბლიკას“, ჩვენ სრულებითაც არ გვავსებ პრეტენზია „უკარნახოთ“ რაიმე ქართველ ხალხს, არამედ ესაბათ იმ საგარანტიო პირობებს, რაც საჭიროდ მიგვჩანია, როგორც ვარეშე ინტერვენციის ისე შინაგანი ავანტურისაგან დასაზღვევად და, რომ თავისუფალი და საყოველთაო ექნისყრით ქართველმა

ხალხმა თვით გადასწყვიტოს თავისი სახელმწიფო მმართველობის მომავალი წყობილება.

რაც შეეხება წარსულის შეცდომებს, რომლებზედაც თქვენ მივითვითებთ, უმართებულო იქნება ისინი. ზოგადე მივასწროთ დემოკრატიულ საპარლამენტო სისტემას. ყოველ შემთხვევაში, თუ თქვენ სხვა უკეთესს ხედავთ. ბრძანეთ და იქნებ დაგეთხნნო.

როგორც უკვე ვთქვი — პოლიტიკური ემიგრაცია ჩვენს ერს ვერაფერს „უკარნახებს“, მაგრამ, ჩემი ფიქრით, ჩვენს ერს უფლება აქვს იცოდეს თუ რა პოზიციასე დგას დღეს მისი განშტოება — ემიგრაცია, და, რომ პოლიტიკური ემიგრაცია ვალდებულია ამჟღავნოს და აცხადოს თავისი გარკვეული პრინციპილური მრწამსი და სამოქმედო გეზიც.

პატივისცემით ლ. ზურაბიშვილი.

### ღია წერილი გოგი წარმოუღს

„არ გვინდა მონობის“ საპასუხოდ, დაბეჭდილს „თავი სუფლების ტრიბუნის“ პირველ ნომერში.

ჩემო გოგი!

მივიღე უფრო „თავისუფლების ტრიბუნის 1-ლი ნომერი ძალიან მომეწონა, როგორც თავის შინაარსით, ისევე მასში მონაწილე ქართველ უფრნალისტ-მწერალთა შემადგენლობით. მოკლე, მაგრამ პატრიოტული გრძობებით სავსე წერილებით, სისწორით და პირდაპირობით. კარგი არის შენი წერილიც „არ გვინდა მონობა“. მე და შენ, გოგი. უკვე კარგა ხანი არის ურთიერთი გაცივანით, იმ ხანაში და იმ მდგომარეობაში, სადაც შეიძლება ნამდვილად გაიცნოს ადამიანმა დამიანი. ჩვენი ვაცნობა არ მომხდარა არც ქართულ სუფრაზე და ნაღიმზე, არც რომელიმე პოლიტიკურ ყრილობა-შეკრებაზე. ჩვენ ეთმანეთი გაცივანით ვაქაქირში, ბრძოლის ველზე. ორივენი ვიბრძოდით ერთ და იგივე იდეისთვის, საქართველოს თავისუფლებისთვის და ამიტომაც ვწერ ამ წერილს გულ-ახლილად. მეგობრულად. თუმცა ჩემზე ახალგაზრდას. მაგრამ ჩემთან ნამძოლ მეომარს. ღიაა, კარგი არის შენი წერილი სამშობლოს სიყვარულის გრძობით აღჭურვილი. ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ, თუმცა კალმით, მაგრამ ვალესილი ფოლადივით მჭრე-





ლი ენით, თანაც ქართველური ამაყი სულით, რომელიც ურიგდება მოსიხარებას, და სწერს: „ახმა მალა ვასცადებ, რომ არ ვართ რუსის ჭამია შოვინისტები. ჩვენ სოხლენობით არ გვეჯავრება რუსის ხალხი. რუსის ერი ერთადი და ღირსეული ერა, რომელთანაც ჩვენ მამა-პაპათაც სურდათ კავშირი და მეგობრობის დამყარება. ჩვენც გვიყვარდა“-ო. იქვე სწერს: “დღეს თვით რუსის ხალხიც წინააღმდეგობას, მისი საუკეთესო შვილები იბრძვიან თავისუფლებისათვის და მთელი ჩვენი სიმპატიებიც მათ მხარეზეა, რადგან ვიცით, მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვების საწინდარია და გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ მათ ვეტყვიან: „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს“

და შენს სახელსა მტლად დავედები.“  
 ნუთუ გჯერა რომ, ეს შენი თავისუფალი რუხები ჩვენ გავგიბებენ?! სულით და გულით ვისურვებ რომ, შენი იმედები გამართლებულიყოს, მაგრამ საუბედროლოდ, არ მჯერა და არც მგონია. რატომ? ჩვენ რუსის ჭამია შოვინისტები არა ვართ, გეთანხმები, მართალი არის; ჩვენ არ ვართ მათდამი შოვინისტები. ისინი არიან სამაგიეროდ ჩვენდამი შოვინისტები. წარსულმა პევირამ დაგვანახა. დიხა ჩვენ მამა-პაპათაც სურდათ რუსებთან კავშირი, დიდი რუსეთის მფარველობა, მაგრამ რა გამოვიდა? ლატვია რუსთა მიერ, განა ერთხელ და ორჯერ — განუწყვეტილო, საუკუნეების განმავლობაში. ვინ დაიძინა საქართველო? რუსეთმა. ვინ ცდილობდა ქართული ენის აღმოფხვრას? რუსეთი, ვინ დასწყევლა და შეაჩვენა საქართველო? რუსეთის ჩვენებრ მიორწმუნე რჯული. საქონისტიანო სამღვდლოების ვეგზახსმა. ვინ აურძალა სასწავლებლებში ქართული ენა და ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა და ლოცვა? რუსეთმა. ვინ განაგრძობს დღეს საქართველოს მონობაში სულის ამოძრობას? ცოლავ რუსეთი. იცოდ, რუსი თეთრი თუ წითელი კრავს რუსი არის!

ვიმეორებ მართალი ხარ, ჩვენ არა ვართ შოვინისტები, მაგრამ თვითელი რუსი შოვინისტი არის. შენ ქართველი უყვარხარ რუსს? აიღე თვითელად რუსი, გინდ თეთრი ემიგრანტი, გინდ წითელი სამჭოთა რუსი, უხახარი რომ, შენ ქართველი ხარ, გავლიძებს, გავციტებს. შეგაქვს კიდევ, მაგრამ უთხარი რომ, შენ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ხარ, რუსეთის ქვეყნიერდომობიდან განთავისუფლება გსურს. არა მგონია არსებობდეს იგეთი რუსი რომ, ამაზე დაეთანხმოს. თვითელი რუსისთვის, ქართველი, სომეხი, ადერბაიჯანელი, ლეკი, ურია; ეს არის, შენი სიტყვების არ იყოს “უნაქერმენ“-ი. შენ ამბობ: რუსის ხალხი მონობაშია. ეს ვიცით. მისი საუკეთესო შვილები იბრძვიან თავისუფლებისათვის და მთელი ჩვენი სიმპატიებიც მათ მხარეზე არის, რადგან ვიცით მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვების საწინდარია. არ ვიცო, თუ როგორ შეიძლება შეადარო

ჩვენი ბრძოლა მათ ბრძოლას. ისინი ე. ი. როგორც ჩვენ ვიან ბოლშევიკურ რეჟიმს, და მხოლოდ მისი სიხარებას, ჩვენი ბრძოლა კი, არის ბრძოლა დამპყრობელ უცხოერთან, როგორც ჩვენი მამა-პაპანი მონღოლებს, აპარსეთს ან ოსმალეთს. ჩვენი ბრძოლა არის მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლების მოპოებისათვის, ამასაც კი ვიტყვი, საქართველო რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო და დემოკრატიული, რევოლუციური არჩევნებით ქართველ კომუნისტებს ვაქმარჯვანთ და დამოუკიდებლობა შეენარჩუნათ (ღმერთმა იცის რომ, კომუნისტურ იდეებს არ ვიზიარებ) ალბათ არც შენ და არც მე — არც ბევრს სხვებს არ მოუხდებოდა ემიგრანტობა და უცხოეთში თავის შეფარება. დამოუკიდებლობის დროს, ყველა სოციალ-დემოკრატი რომელი იყო, მაგრამ საქართველოს არავინ გამოქცევია. ადგილობრივ, მხოლოდ დემოკრატიულად, პასიურად, უსისხლოდ გაიმართებოდა ბრძოლა. დამერწმუნე, თვითელ რუსს, ცალ-ცალკე თეთრს თუ წითელს ჩვენ არ ვუყვარვართ, და შენი სიმპატია მათგან, რადგან სთვლი მათ გამარჯვებას ჩვენი გამარჯვების საწინდარად უნდა გილოა. არ დაიჯერო თუ მათ ოდესმე გამარჯვება კლირსათ, მათი ჩვენდამი სიყვითის მოტანაში.

ბრძოლა გავრძელდება კვლავ მათ წინააღმდეგ. არ არსებობს რუსი რომელიც ნებით დასთმობს სამოთხისებურ საქართველოს ბუნებას. ვიცი მტყვი: „შეუებრძოლოთ დიდ ვეშაპს, რას დავაკლებთ?“ ვერც ვერაფერს. ვამოსავლი ერთად ერთი არის: მტკიცე კავშირი ქართველთა შორის, აგრეთვე კავშირი რუსების მიერ დაპყრობილ ქვეყნებთან, და ღმერთმა იცის ამისათვის ქვეყნები გულუხვად მოიპოვება. მაგ. უკრაინა, პოლონეთი, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, სომხეთი ადერბაიჯანი და მთელი კავკასიონის მოსახლეობა.

რაც შეეხება ალ. სულეიენის და სხვა მწერალთა ვაფასებ მათ შემოქმედებას, მათ პატრიოტიზმს ცოტა კი დავაინფლუს, მაგრამ სჯობია ნუ ჩავერეთით მათ ოჯახურ, შინაურულ საქმეში. დეე ერთმანეთში რეკონთავიანთი ბინძური სარტყი. მე კი მიზრეენია ვეცადო შური ეძიო მათი ტყუილი დახვრეტელი და განგმირული ქართველი მამულიშვილების..

როგორც უკვე ვთქვი, მოკავს უკვდავი დიდი ოლიის სიტყვები: „კაკო ყაჩაღიდან“.

„მე ჩემი მომე, შენ შენი გქონდეს და შენს სახელსა მტლად დავედები.“ ძალიან უადგილო და მცდარი შედარება არის. იმ მონა, ყმის მოხუცი ზაქროს მამის, რომელიც მუსულმან-მოღერკელი ექუდარება ულეთო ბატონს, რათა დაეთმოს მამას სიყვითი შენი ზაქროს. და ჩვენს მღვდლომარბობის შორის. მიუხედავად მისი რომ, ჩვენ ვართ დაპყრობილი, ჩვენ არ ვსთავილავ ჩვენს თავს მონებად ან და ყმებად. მონობის და ყრობის





ეპოქა დიდი ხანი არის მოისპო კაცობრიობაში, და როდესაც არსებობდა, ვერც ერთმა და ათასმა ურჯულო ურდოვებმა ვერ დააჩოქა ქართველი ერი და ვერ მოახრევინა სამარცხინოდ ქელი. რითი უპასუხა ბატონმა, მოხუცს და ავადმყოფს ზაქარას მამას, „როზგით“ დამერწმუნე, ასევე მოგვექცევა ახალი და თავისუფალი რუსეთი. და ამიტომაც ვიდრე მის როზგის ქვეშ ამოგვხედობდეს სული სჯობიან. რომ საქართველოს კეთილდღეობისთვის უღმობელმა ტყვიამ შეუწეროს გულის ფიციარი მას. ვით ზაქარს გასროლილმა ტყვიამ მის ზეიროტ ბატონს.

ჩემო გოგი, აი ჩემი აზრი. რა ვქნა ძმაო! რასაკვირველია, უღანაშულო რუსს სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებ, მაგრამ რა ვქნა. რუსს ვერ ვენდობი ვერა! ვერც თერთს და ვერც წითელს.

პატივის ცემით, ელ. მაყაშვილი.

**პასუხი ელ. მაყაშვილს**

ჩემი უფროსი (არა მარტო ხნით, არამედ სამხედრო ჩინოთაც) მეგობარი ელიზბარ მაყაშვილი, ალბათ მარტო არ არის, იქნებთან სხვა ქართველებიც, რომლებსაც რუსებმა გული გაუტეხეს და სამეგობროდ გავწვილ ხელში საბრძოლო იარაღი ააღებინეს. მიუხედავად ამისა, ძმაო ელიზბარ, მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ:

1. ჩვენ ქართველებმა უნდა ვეძიოთ ჩვენი დამოუკიდებლობის თანამგროძობინი ყველგან, მათ შორის თვით რუსულ ხალხშიც.
2. რუსებში ხალხი და მმართველობა არ უნდა გავივიციოთ. უნდა ვებრძოლოთ მმართველობას, ვეძიოთ სიმპატიები ხალხში.
3. საბჭოთა კავშირის რუსული შინა და გარე ოპოზიციაც, კიდევაც რომ არ იყოს დაპყრობილ ერთა განთავისუფლების მომხრე, მაინც ჩვენი მოკავშირეა, რადგანაც ის იბრძვის თავისუფლების ლოზუნგით არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის დამხობაც გზას აუტყსნის ტყვეობაში მყოფ ერების განთავისუფლებას ისევე, როგორც ეს მოხდა 1917 წლის თებერვალში.
4. ჩვენი სიმპატიები რუს ოპოზიციონერების მიმართ არამც და არამც არ უნდა ნიშნავდეს რომ ჩვენ ხელები გულზე დავიკრიფოთ და საქართველოს მომავალი ამ „კეთილი“ რუსების ნება-სურვილს მივანებოთ. პირიქით, ჩვენ კარგად ვიცით: საქართველოს არც ერთი რუსი არ განთავისუფლებს (თუ) ქართველმა ხალხმა თავისი ბძოლით ის არ მოიპოვა.

გ. წერეთელი.

გრ. წერეთელი.

**მყირე მენიშენაჲი ქართულ სახელმწიფოში  
ლიტერატურაჲე**

სამწუხაროდ, ჩვენ — პოლიტიკურ დევნილებს წილდ გვგვცდა, ვატაროთ იდეოლოგიური დროშა იქ დღეს: „ვეცხული და დამუხრებელი საქართველოსი.“

რკინის ფარდით გათიშულნი, ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებებს დელა-სამშობლოზე ვაულებსის მოხსნისა, ამიტომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველ ახალგაზრდობის თაობები მიტოვებულნი არიან საბჭოთა რეჟიმის ინტესიურ პროპაგანდაზე.


ისტორიულად ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით ქართული პოეზია წინ უძღოდა ერის მიხანსწრაფვას. უდავოა, მე-19 საუკუნის — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ბრწყინვალე თაობებმა იხსნეს ქართული სული გარუსებისაგან, სულიერა საფუძვლები შეუქმნეს განახლებულ ქართულ ეროვნულ თვითარსებობას. საუბედუროდ ჩვენი ერისა, მტერმა მესძლო ამ შესანიშნავი იარაღის დაწლუნება. და თუ იმის და მიხედვით ვიმსჯელებთ რაც დღეს საბჭოთა საქართველოში ქვეყნდება, მეტად სავალალო მდგომარეობა წარმოგვიდგება. პოლიციისაგან თავზარდაცემული და ოფიციალური პროპაგანდისაგან გზაბნეული ქართული საბჭოთა მწერლობა თითქმის წაქცეულია. რომელსაც თავში სცემენ საეჭეო სლავიანურ—რუსულ—მარქსისტულ ტომებს, ესენი მას ვერ მოუწელებია, მას თითქოს სული და გული ამოსცლია. შემოქმედების ღვთაებრივი კვერთხი ზელიდან გავარდნია და მის მაგივრად ეწლგარული პროპაგანდისტის კეტს ატრიალბს, რომელიც მტერს ახარებს და მოყვარეს გულს უქლავს.

ყოველი დროის ყველაზე დიდი არტელი: მიქელ ანჯელო ბრძანებს: „სახე აღამიანისა, რომელიც მსგავსია შეიტირისა, უნდა ატარებდეს მტდმივე მშვენიერებას. ღვთიურისა, უნდა ატარებდეს მუშივე მშვენიერებას. უხადო სილამაზე! ასოლოტურაქვემშობრებამა, აი მიხანის ხელოვნებისა“. ქართული ეროვნული სულის მესაიღუმლე აკაკი წერეთელი ასე გამოხატავს პოეტის მოვალბობას:

„გამიქვავდეს მაშინ ენა და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ რომ ვისმეს მოვეფერო, თუ სიმრუდით სიმთ ვაქლერო“.

თუ ამ ორი გიგანტის კრიტერს მიუყენებთ საბჭოთა საქართველოს მწერლობას, ღმერთო ჩემო! რა საცარცელე წარმოგვიდგება, რა ზნე დაცემულობა და გრძობათა სიმდაბლე. ჩანს პოლიტიკურ რეჟიმში ადვილად იფურჩქნება ადამიანის მდაბალი ინსტიქტები. მოკლებულნი





სინდისს და პოეტურ თუ უბრალოდ მოქალაქეობრივ მოვალეობას და აღსავსეს დასავგობ ანგარიშთანაობით და ამბიციებით. ეს კალმონენები საბჭოთა რევოლუციის კურტიზანები ვახლავან. ტრანზენის, აღმოსავლეთის სატრაპენის კარის მფობრტენი. ისინი ქება-დიდებას უძღვნიან უცხო, დამპყრობელ ხელისუფლებას, აღმერთებენ ლენინს, სტალინს, ბერიას, ბრეჟნევეს და სხვათ. ხან და ხან სამშობლოსაც უგალობენ, მაგრამ ძნელია გაიგო როჰელს: იგანე მისხანანს და პეტრე დიდის სამშობლოს თუ ქართულ ნათესავთა ათას ჰირანხელ მიწაწყალს. და კიდევაც, რომ უგალობონ და ზოტბა შესახან საქართველოს ბუნებას, ეს ვანა საქმარისია ავტორის პატრიოტიზმისათვის? რა თქმა უნდა არა! არა ერთი რუსის თუ სხვა ეროვნების გული აუჩქოროდებია კავკასიის მთების გრანდიოზულ სანახაობას და მათ ბავღან ქათინაურები მოუწყევტია. ზაგრამ ვანა ამიტომ იყენ ქართველი პატრიოტები: პუშკინი, ლერმონტოვი, ალ. დიუმა და მრავალი სხვები? ნამდვილმა რუსმა პატრიოტმა სრულიად ბუნებრივად შეიძლება უგალობოს ალაუნის ველებს და ამავე დროს იგი მიიჩნის დიდი რუსეთის მიწაწყალად, ამა მიბრძანეთ თუ იგივე დასაშვებია ქართველისათვის სართვის გუბერნიის მიმართ, თუმცა მის მიწაში ვანტანე მეფე და მისი ამაღის არა ერთი დიდებული ქართველი განისვენებს?!

ლენინ—სტალინის ხანაში ხელოვნებისაგან საერთოდ და ყერძოდ მწერლისა და პოეტისაგან მოითხოვდენ კლასობრივობას. დღეს ტერმინი შეიცვალა: ბრეჟნევი ბრძანებს და ყველა მისი პროპაგანდისტი იმეორებს, რომ იგი, ე. ი. მწერალი, პოეტი, მხატვარი, კომპოზიტორი და სხვა, უნდა იყოს პარტიულობის გამტარებელი ე. ი. რუსული პარტიის დირექტივების გამტარებელი მისი პატივბარი. მეზობლები, სტალინის დროსაც და დღესაც, შემოქმედს აიძულბენ მუცელზე იხოხოს და ზომენტის ბატონების ჩემქმები აპრილოს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შექმნილი, ასეთი მდგომარეობა საბოლოოდ იწვევს ვინებრივ დამბღადაკემულობას და აზროვნების სიღატაკეს.

მეორე მესამე ხარისხიდან მწერლებზე ლაპარაკი უნდემტია, მათ კურტიზანულ-პროპაგანდისტური ლიტერატურა, რომ ჩამოაკლათ სრულიადაც აღარაფერი დარჩებათ. სავალდოს ის არის რომ თვით ნიჭიერი პოეტებიც, როგორც: გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ი. გერიშაშვილი, გ. ლეონიძე ვერ აცდენ ამ ბედს და საბჭოთა პერიოდის მთელი მათი შემოქმედების დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის დამბინებლებს, საძულველი საბჭოთა რეჟიმის და კომუნისტური პარტიის პანეგირიკას შეიცავს.

ასე მაგალითად პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი სწერს: „...იო სახელი ართმანეთს ერთვის, დიდი ბეღადი და დიდი შოთა...“ იიცოცხლებს ვიდრე სიცოცხლობს მყინ-

ვარი და ჯღლაშვილის დიდი ქვეყანა,“ „...შენ შემოცქტერის მთელი ქვეყანა, როგორც ნატერის თვალს ნახვანს ხელს გიშვერს, დიდის მზე შენთან აპირქმს ზღის ცხვანს, რომ ნათელ შუბლზე გემთხვიის სტალინი!“ და სხვა ასეთივე გულის ამრევი სტრიქონებით შექმბული პოლიციული ლ. ბერია.

ტიციან ტაბიძე სულ ცოტა ხნით ადრე ვიდრე სიცოცხლეს გამოასალმებდნენ ასე ამთავრებს სტალინის ქებას:

„მეო ნათელი, ჩვენი დიდი იმელი, მამეო, ჩაგრობა მსხნელი, უძღვევლო ხალხის მარჯვენაე! შენმა სიკეთემ ჩვენ ბეჩავნიც გავეათამამა და დიდი სტალინთან სასაუბროდ ავიკოდა ენა!..“  
1937 წ.

მოუღმინოთ ეხლა დიდებულ გ. ტაბიძეს: „ნატომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაკვიფრებელს რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს, ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“.

ხოლო 1936 წელს როცა, ასი ათასობით უდანაშაულო ქართველი იხოცება ციმბირსა და საკონცენტრაციო ლაგერებში იგივე გალაქტიონი ასეთ ლექსს უძღვნის ტირანს: „...სტალინი ბეღადია და მხატვარი უღიადესი, ქარტიით გადიდა და გზა ნაწეღი და ნათი“.

ან და მეორე ლექსში, რომლის სათაურიც 1950-ა: „...და, პა, კარები გაბედულად რომ შემოაღო ცხრაას ჩვიდმეტმა, მითხარ, როგორ არ ვიამაყო?! რომ თავადებდნენ შემომოსა გზა უწმინდესი — აი მიზეზი, გული ჩემო, აი, მიზეზი! იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის ალური გზებნით, ლენინ—სტალინის მიერ ნათელ ნახვენებ გზებთ, დედა-მიწის ერთ მეექვსედის გაშლილ სივრცეზე ქმობის დროშა რომ აფრიალდა — აი, მიზეზი!“.

კითხულობ ამ სტრიქონებს პოლიტიკური დევნილი, და გიყვარს, ღმერთო ჩემო, სანამდე დასულა „მე და დამის“ და „...ლურჯა ცხენების“ შემომქმედი.

რა საქორა ვაგრძელებ, ასეთი ხასიათის პიეზია ამოუწურავია საბჭოთა საქართველოში. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ გროშაშვილი და ტ. ტაბიძე ვერ ეტესწერენ, ვალ. ტაბიძემ თავის თვალბნით ნახა, რომ მისი პოეტური მუშის ობიექტები უბრალო, დამსხვრეული კერებია; ერთი სავლადიდან მოთხრილი, ხოლო მეორე ბერია, ლალატის მოტივით საღდაც მოსკოვის ჯურღმულში ჩაძაღლებული.

უდავოა, ვერც პროზა აცდა კურტიზანობას და პროპაგანდის მოღობულ გზას, მისმა ერთმა ნაწილმა, ყოველ შემთხვევაში, თავი შეაფარა ისტორიულ თემებს და არა ერთი კარგი ნაწარმოები დაიწერა. კარგი ქართული და საესე სანაქემო მამულიშვილური განცდებით. პროზაიკოსთა შორის ყველაზე საინტერესოა კ. გამსახურდიას

X 296





ირაკლი შიკეთელის ძველი ფოტო

ცხოვრება და შემოქმედება. მან თავდაპირველად სხვა-  
ზე უკეთ გაუძლო პოლიციური რეჟიმის შემოტევებს.  
დამარცხებულ სამშობლოსათვის სხვებისგან წიხლი არ  
ჩაუჭელია. მისი „დიონისოს ღიმილი“, და „დიდ ოსტატ  
კონსტანტინეს მარჯვენა“ დილაღ ნიჭიერი, მცოდნე და  
დამოუკიდებელი შემოქმედის ბეჭედს ატარებს, მაგრამ  
სწინას, ბოლოს მასაც ფეხი დაუცდა, მოინდომა ბატონე-  
ბის გულის მოგება, და „ვაზის ყვავილობით“ თვითმ-  
კვლელობა ჩადინა. მისი ბოლო ხნის განცხადებები  
ხომ სულ კატასტროფიული არიან: „ჩემს თავს ვივლი-  
დი კომუნისტური პარტიის გულშემატიკვრად“.

„როდესაც ოქტომბრის მზემ გამოანათა, ამ ტრიბუ-  
ნიდან მივესალმე თავისუფალ ქართველ ხალხს (?)“

„ქართულმა მწერლობამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ეართ  
უერთგულესი შებაჯრენი (?) საბჭოთა მწერლობის“-ო.  
ვკითხულობ მსკოვანი მწერლის ამ სიტყვებს და  
გულმოკლული ეჭურჩულობ: ბატონო კონსტანტინე!  
ბატონო კონსტანტინე! როგორ გეკადრებთ!

**გრიგოლ წერეთელი.**

**თ. ტ. ის ფონდი (1 მაისიდან 30 ივნისამდე.)**

გვეტყვი რუბენ 150 ფრ. თავიშვილი შალვა, ფანჭუ-  
ლიძე სანდრო, — თითო 100 ფრ. შარაბიძე ლადო.  
(ამერიკიდან), 20 დოლარი. გუგუშვილი ძუტუ 75 ფრ.  
ხედვინიძე შალვა, აბაშიძე სიმონ, — თითო 60 ფრ.  
მედილიშვილი ირაკლი, ქაჭიაშვილი ტატიანა და ბაგ-  
რატი; ემუხვარი ილია; შენგელია მარი; ყიფიანი გიორგი;  
თითო 50 ფრ. დანელია აპოლონ 10 დოლარი; გაფ-  
რინდაშვილი მიშა, ბედელაძე ნიკოლოზ, საბასტარაშ-  
ვილი თამარა; — თითო 20 ფრ. ვუნია იონა, შარაბიძე  
ლადო ნიკოლოზის ძე, დათიშვილ დიმიტრი, ტოვინიძე  
გიორგი; — თითო 10 ფრ.

|             |          |
|-------------|----------|
| სულ         | 1.633,46 |
| ძველი ნაშთი | 4.771,05 |
| ჯამი        | 5.804,49 |

თ. ტ. ის მესამე ნომრისთვის 2.344,50

30 ივნისში ნაშთი 3.459,99

**† მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:**

ა/წ. 12 ივნისს, პარიზში ხანგრძლივი და მძიმე ავად-  
მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **შიო ველაშვილი**, და-  
საფლავებულია ლევილის მძათა სასაფლაოზე.

ა/წ. 17 ივნისს, ქ. ანტიზში, (საფრანგეთი) გარდა-  
იცვალა და იქვე(დროებით) დასაფლავებს **ეკატერინე  
გავრილოვა — ანათასია**.

ა/წ. 2 ივლისს, სორბში, (საფრანგეთი, დორღონი)  
გარდაიცვალა **იური კოხანოვსკი**.

როგორც თ. ტ. პირველ ნომერში ვიტყობინებოდი,  
ირაკლი წერეთლის ფერფლი ამერიკის შ. შტატებიდან  
გადმოსვენდა საფრანგეთში, ლევილის ქართ. სასაფლაო-  
ზე. პარტიული მეგობრების მიერ შესდგა კომისია მის  
საფლავებზე ძველის აღსამართავად. ქართველობა მსურ-  
ვალედ გამოეხმაურა, მცირე დროში შეგროვდა საკმა-  
რისი თანხა და აი, უკვე დაიდგა საკმარისად კარგი ხა-  
რისის გრანტიტის ძეგლი. ა/წ 16 ივნისს ამ ძეგლის ირ-  
გვლედ შევიტარებთ, როგორც ქართველი ისე უცხოელი,  
განსვენებულის სსოვნის პატივსაცემად.

მომღვარამ ილიამ ჯერ იქადავა, შემდეგ სწიოა პა-  
ნაშვიდი, რომლის დროსაც ვალობდა გუნდი, პანაშვიდის  
შემდეგ ვრცელი. გრძობიერი და დასაბუთებული სიტ-  
ყვები წარმოითქვეს, ფრანგულად ბ-ნმა ხუნდაძემ, ქარ-  
თულად ბ-ნმა ნეო ცინცაძემ, პოეტმა ლედი პურულაშ-  
ვილმა წაითხა საკუთარი პოემა მიძღვნილი ირაკლი  
წერეთლისადმი.

შატოში მწიდილოსნებმა: ქ-ნ ლიდა ნოზაძისმა, თამარა  
საბასტარიშვილმა და იდა ბოკუჩავასამ სტუმრებს  
გაუმასპინძლდნენ ცხელი ხაჭაპურებით, რომლის დროსაც  
შეისვა განსვენებულის შესანდობარი.

**დამსწრე.**

ა/წ. 11 ივლისს, პარიზში გარდაიცვალა **ვერა ერის-  
თავი**.

ა/წ. ივლისში, ბუენოს აირსში (აგენტინა) გარდა-  
იცვალა **გრიგოლ ბუაქე**.

ა/წ. ივლისის ბოლოს ნიუ-იორკში გარდაიცვალა ცნო-  
ბილი თვითმფრინავების კონსტრუქტორი ა. შ. შტატებ-  
ში **ალექსანდრე ქართველიშვილი**.

თავისუფლების ტრიბუნა გლოვობს მით დაკარგვას და  
ღრმა მწუხარების სამძიარს უცხადებს **წუნგეშვი** ქი-  
რისუფალთ.